№ 160, ივლისის 27, შაბათი. 1866—1885 ივლისის 27, შაბათი. № 160.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელმწერნი მოითხოვენ, რედაქცია გაახსოვრებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლეგამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

დროების რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ **შაგერდოვის სააგენტოში** აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ გაზეთზედ და არც განცხადებები მასში დასაბეჭდად. ხელის-მომწერთ, ან განცხადების მოცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს პირდაპირ რედაქციის კანტორას მომართონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).

ეფროსინე იაკობის ასული

ჭიჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეუსრულებია სანკტ პეტერბურგის უმაღლესს საქალებო სასწავლებელში, ამ წლის პირველის სექტემბრიდამ ხსნის ქალაქ ქუთაისში მოსამზადებელს სასწავლებელს ორის წლის კურსით, რომელიც ამზადებს ქალებს საქალებო გიმნაზიის პირველის კლასისათვის, ვაჟებს სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელის კლასის უფროსის განყოფილებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინადამ მოსიარულე ყმაწვილები. პანსიონი არ იქნება, და სწავლისათვის გადახდებათ სასწავლო წელიწადში ორმოცდა-ხუთი მანათი (45), რომელიც წინ-და-წინ უნდა შემოიტანონ მესამედობით. მისაც ჰსურს ყმაწვილების მიბარება ამ სასწავლებელში, წერილებით უნდა განუცხადოს თავისი სურვილი სასწავლებლის დამაარსებელს იელისის 22-დამ აგვისტოს 25-მდის.

ადრესი: ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა სახლი ნიკოლაძისა.

(6—3)

„შეორე მხარესაც გაგიგონეთ“

თბილისი, ივლისის 27-ს.

ნუ გაგვკიცხავთ, მკითხველნო, თუ ამ წერილში ისეთს საგანზედ ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, რომელიც, პირველის შეხედვით, თითქო თქვენ სრულიად არ შეგეხებათ და რომელზედაც იქნება თავის-დღეშიაც არ გიფიქრიათ. მაგრამ თუ ლიტერატურის მოღვაწეობა მკითხველთაგან სასარგებლოდ არის ცნობილი, თუ რაიმე ზნეობრივი კავშირი არსებობს მწერლებისა და და საზოგადოების შორის, მაშინ, პირველთ ბედი მეორისათვის უცხო არ უნდა იყოს და არც ერთმა შეგნებულმა მკითხველმა არ უნდა სთქვას: ოღონდ მე ჩემს ვადაზედ ჟურნალი ან გაზეთი მომივიდეს და მათმა შემადგენლებმა თუნდ თავი ქვას ახალონ.

გაზეთებისა და ჟურნალების ვარგისობა, ან უვარგისობა იმაზედ არის დამოკიდებული, თუ მათში მშრომელნი რავდენად თავისუფალნი არიან, რავდენი დრო და მოცალება აქვთ ამ ფრიად საფთხილო და საჭირო საქმისათვის, რამდენად გარეშე ვითარებანი ხელს არ უშლიან მათს მოღვაწეობას და მათს გულის-ყურს სხვა საგნებისადმი არ მიაპყრობენ.

ნულარას ვიტყვით აქ იმაზედ, რომ ჩვენში მწერლებს უეჭველად სხვა, ლიტერატურის გარეშე, საქმეც უნდა ჰქონდეთ, თუ თავის რჩენა უნდათ; ამაზედ ბევრი თქმულა, დაწერილა და ახალის თქმა და დაწერა ძნელია. აქ მივაქცევთ ყურადღებას სრულიად სხვა გარემოებას, რომელიც მწერალს მუდამ სისხლს უხდენს და თავის პირდა-პირს საქმეს აცდენს.

თითქმის კვირა ისე არ გაივლის, რომ ან გამომძიებლიდამ, ან სასამართლო პალატიდამ უწყება არ მოგვივიდეს, რომელშიაც თქვენს უმორჩილესს მოსამსახურეს იბარებენ ცილის-წამების, ან დიფამაციის გამო. უწყებაში არ არის მოხსენებული, ვინ გიჩივით, რას გიჩივით, რაზედ გიჩივით. უნდა წახვიდეთ დაბარებისამებრ, დოკუმენტებს მოუყაროთ თავი, სასამართლოში გარჩევის დღეს გამოცხადდეთ, ბრალდებულთა სკამზედ დაჯდეთ, იქ სადაც თქვენზედ წინად ქურდი ან კაცის-მკვლელი იჯდა და ბოლოს საქმე უნდა იმით გათავდეს რომ სასამართლომ გამოგიცხადოთ, თქვენ ეხლა თავისუფალი ხართო; თქვენს მოპირდაპირეს კი, რომელიც ცილის-წამებას გაბრალებდათ; რომელსაც ადვოკატი არც კი დასჭირეწოლობას და ბოლოს ეტყვიან: ეს ბრალი ვერ დამტკიცდა, ეს ბრალი ვერ ვაპატიეთ, ეს ბრალი ვერ ვაპატიეთ, ეს ბრალი ... ეს ... ეს ... ეს

ბია, რადგან მისს მაგიერობას პროკურორი ჩადის; რომელსაც გარჩევის დღეს შეეძლო სასამართლოში არც კი დასწრებოდა და მხარ-თეძოზე წამოწოლილი ჰყოფილიყო—ამ თქვენს მოპირდაპირეს ყოველივე ეს თქვენი გაბიაბრუება დედის რძესავით უნდა შეერგოს; თუ გაგამტყუნებენ, ხომ რა კარგი; თუ არა და—ამაზედაც ბევრს არაფერს ინაღვლის.

ვინ ამბობს, გაზეთი და იმის რედაქტორი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ, თუ რომელიმე კერძო პირი უმართებულოდ და უსამართლოდ ცუდად არის მოხსენებული, მაგრამ, ვგონებთ, სამართლიანობა მოითხოვდა, სასჯელი თვით საქმის დამწყებსაც რგებოდა, თუ მან საქმე სრულიად უსაფუძვლოდ დაიწყო, ან გაზეთში მის შესახებ გამოცხადებული ფაქტები გამართლდა.

მოიგონოს მკითხველმა რამდენიმე მაგალითი თითონ ჩვენის გაზეთის შესახებ:

ბ. ფხაკაძეს «დროებამ» სხვა-დასხვა ბოროტ-მოქმედება დასწამა. ფხაკაძემ სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ ჩვენ გაგვამართლა, მაშასადამე რასაც ფხაკაძეს ვაბრალებდით, საფუძვლიანი გამოდგა. ფხაკაძე ამ ჟამად მეორე თანამდებობას ასრულებს სრულიად დაუსჯელად და ჩვენ კი წვალება და ხარჯი წილადა გვხვდა.

შარშან «დროებაში» ნაამბობი იყო იმ უწესოებაზედ, რომელიც ნავთლულის ფერშლების სკოლაში სწარმოებს. ბ. მ—მა, უმთავრესმა პირმა ამ სკოლის გამგეობაში, წერილით პასუხი მოგვიგო და თუმცა ცილისწამებას გვაბრალებდა, მაგრამ ყველაფერს კი ამტკიცებდა, რაც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი. ახლა, ერთის წლის შემდეგ, ვიღაც შუხოვი, თუ შუტოვი, ინსპექტორი ამ სკოლისა, სასამართლოში გვიწვევს ამ საქმის გასარჩევად და უარ-ჰყოფს იმას, რაც თითონ იმისმა უფროსმა, თუმცა კი უნებურად, მაგრამ თავის კალმითვე აღიარა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს ამ საქმეში გავმართლდებით, მაგრამ მაინც წვალება და ხარჯი არ აგვცდება...

შორს რომ აღარ წავიდეთ, ავიღოთ გუშინდელი ნომერი გაზეთის «ქავკაზისა», რომელშიაც ოზურგეთის მაზრის უფროსი «საყოველთაოდ აცხადებს», რომ ჩვენმა გაზეთმა ერთ-ერთს ფელეტონში (№ 140 ამ წლისა) შეურაცხება მიაყენა და მან პროკურორს სთხოვა ჩვენი სისხლის სამართალში მიცემა, თუმცა იმ ფელეტონში, რომელსაც ბ. მაზრის უფროსი ასახელებს, ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი მასზედ პირადად...

ამ მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი მწერლობა და კიდევ სხვაც ბევრი რამ აწუხებს მას, რაც მრავალს მკითხველს სიზმრადაც არ დასიზმრებია...

შინაური ქრონიკა

ᲝᲝᲝ ამას წინად ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ბ ბიორგი წერეთელი სურათებიანი ჟურნალის გამოცემას აპირობსო. ეხლა ამ საქმის შესახებ შემდეგი შევიტყეთ: ბ. წერეთელს კიდეც გაუგზავნია თხოვნა პეტერბურგში და იმედი აქვს მალე ნება-რთვა მოუვიდეს. ჟურნალი იქნება საკვირაო და სახელად «ქანდელი» ერქმევა. ბ. წერეთელს თავის ჟურნალისათვის მრავალი კლიშეები შეუძენია კიდეც.

ᲝᲝᲝ ქუთაისის მაზრიდგანა გვწერენ: «ვანის საზოგადოებაში ერთი წელიწადია, რაც ახალი ხევის-თავები დააყენეს, მაგრამ კარგის მაგივრად, ცუდი შედეგი მოჰყვა. ორი წელიწადია რაც ხევის-თავები არა ყოფილან და არავისი არც სახლი, არც დუქანი არ გაუტეხიათ. ახლა სამი თვე არის, რაც ხევის თავები გვყავს და მათს ხელში ხუთი-ექვსი სახლი და დუქანი გასტეხეს. მიზეზი ამისი, სხვათა შორის, ის არის, რომ ხევის-თავებს 700 მანათი ჯამაგირი ეძლევათ და რაღად შეიწუხებენ თავს ქურდების ძებნით.

«უკეთესი იქნებოდა, მცველები უჯამაგიროდ დაგვეყენებინა და ვისაც ქურდს ნახავდენ, იმისგან აეღოთ თუმნის საღირალში, ვთქვათ, ხუთი მანეთი თორემ ეხლა, ქურდებს დაიჭერენ, თუ არა, მაინც თავიანთ ჯამაგირები უნდა იღონ.»

ᲝᲝᲝ სოფ. საჯაოხოდამ გვწერენ: «აქ ივლისის 15 დღეობა იცის. ამ დღეს ერთი გლეხისას შეიკრიბენ სტუმრები ათი, თუ თორმეტი ქალი და კაც და დანიშნულ დროზედ სადილს მოუსხდენ. როცა ღვინით კარგა შექეიფიანდენ, ერთმანეთში ღვინის სმაზედ ლაპარაკი მოუვიდათ; ერთმა მეორეს უპატიურად უხსენა დედა, რომელიც აქვე იყო. ამ ამბავმა შვილი მეტად ააღელვა და ხელი ხუნი ხელქმნა. ჩხუბში დედა-შეგინებულს თავი გაუტეხეს, მაგრამ მან აიღო სტოლიდამ დანა, ერთს ჰკრა მუცელში და წელები გამოაყრევინა და მეორეც მძიმედ დასჭრა. პირველმა ერთის საათის შემდეგ სული განუტევა და მეორეც ძალიან ავად არის.

«იმერეთში ქალის უპატიურად ხსენებას ვერ მოითმენს მისი მახლობელი ნათესავი, თუ მეტადრე შეგინებული ქალიც დამსწრეა. ხალხი ამბობს, რომ ქალის შემგინებელის მკვლელს შერჩება ბოროტ-მოქმედება, რადგან ეს დედის-უპატიურად ხსენებით იყო გამოწვეულიო.»

ᲝᲝᲝ ახალი ამბავი არ არის რომ ჩვენს რკინის გზაზედ საჭიროა მხოლოდ იყო ვისმეს ნათესავი, ნაამხანაგარი, ნაცნობი, მოყვრის მოყვარე და შენს ბედს მაშინ ძაღლიც არ დაჰყეფს. აი ამის მაგალითი: ექვსის წლის წინად რკინის გზის სამსახურში შესულა ერთი ვაჟბატონი. არ მიუხედნიათ არც მისგან სამსახურის უცოდინარობას, არც იმას, რომ, ფ—ის სტანციის კასაში აღმოუჩინეს ხუთი თუმნის ნაკლებობა, არც იმას, რომ ერთ-ერთ სტანციაში ტელეგრაფისტს თუმანი მოჰპარა მუთაქიდამ და შარშანწინდამ ერთ საუკეთესო სტანციის უფროსად გაამწესეს. რაღა უნდოდა ხელის დაბანის მეტი: 120 მან. ჯამაგირი, სახლი, შეშა, სამთელი, მოსამსახურე მუქთი; მაგრამ ტყუილს არ ამბობენ რუსები: კუზიანს მარტო სამარე გაასწორებსო. ამ ცოტა ხანს

ნაირად იკვლევს ბავშების სწავლის საგანს და საუკეთესო მეთოდს.

ბაკობრიობა როცა დაბლა იდგა, მხოლოდ კონკრეტულ საგნებს აქცევდა ყურადღებას; გაყენებულ საგნებს ჯერ მისი ტვინი ვერ ასწდომოდა. ამის მიზეზით ბავშსაც მხოლოდ კონკრეტული საგნების შეგნება შეუძლია. თან-და თან რაც ბავში იზრდება და მეტ ჭკუის მოძრაობას აშკარავებს, მაშინ უსათუოდ უნდა დავაკმაყოფილოთ მისი ჭკუის მისწრაფება.

ჩემის ფიქრით პოეზია უფრო აკმაყოფილებს ბავშს, ვიდრე პროზა. ვინც დაკვირვებია, ადვილად შეამჩნევდა, რომ ბავშებს საგნების ერთმანეთთან შედარება ძალიან უყვარსთ. სახელები, რომელთაც იგინი ერთმანეთს არქმევენ, დიდის სინამდვილით წარმოგვიდგენენ პატრონის ხასიათს. ჩვენ, მოზრდილებს, გრძელი ტრაქტატები შეგვიძლია დავწეროთ, გრძელი ბაასი შეგვიძლია გავმართოთ თითქმის სრულიად განყენებელ გუნებულ აზრებით, და ეს აზრები ჩვენთვის მხოლოდ აზრები არიან; იგინი არ გვესახებიან, არ სდგებიან ჩვენს თვალ-წინ, როგორც კონკრეტული, ნამდვილი საგნები. ბავშებს ყოველ სიტყვაზე უნდა წარმოუდგესთ თვალწინ სახე. ვთქვათ ბავშს უამბე რამე უბრალოდ, მართლა რომ იტყვიან, პროზით: ჩამოუთვალე უბრალო ფაქტები და ნურაფრით ნუ მორთავ, ნუ შეამკობ ამ ფაქტებს—ბავში მთქნარებას დაიწყებს; შეასხი ფაქტებს ფრთები, მორთე სხვა-და-სხვა ფერში, ხელოვნურად შეაწყვე და გაალამაზე—მართალია, ბავში მაშინაც პირს დააღებს, მაგრამ ყურებსაც წამოაქვეტს. მე იმას არ ვიტყვი, რომ ყველა პოეტური ნაწარმოები შესაძლო და ადვილი გასაგები იყოს ბავშისათვის; არც იმას ვიტყვი, რომ პროზა გასაგები არ იყოს. მე ის მინდა დავამტკიცო, რომ ბავშს რაც უფრო კარგის, რაც უფრო ლამაზი ფორმით უჩვენებ საგნებს, მით უფრო ხალისიანად მოეკიდება, თუმცა ბევრ პროზულ მხარეებსაც მიაქცევს ყურადღებას. ველური ადამიანი აღტაცებით მისჩერებია ღულუნა ცეცხლის ელვარებას, მაგრამ მისი შინაგანი თვისებაცა აქვს სახეში და შიგ ხელს არ შეჰყოფს.

როცა კაცობრიობას გრძნობის ორგანოები და ტვინი არ ჰქონდა ისე დასრულებული, როგორც ახლა, ის სცნობდა მაშინ საგნების მხოლოდ მცირე რიცხვს: ვერაგვარ რთულ მოვლენებს და მათ რთულ დამოკიდებულებას ერთმანეთში იგი ვერ გაიგებდა. ბავშზედაც ასე ითქმის: ჯერ ბავშის გრძნობის ორგანოები დაუსრულებელნი არიან და ბევრს ვერ შეამჩნევენ, რასაც ჩვენ ვხედავთ; მისი ტვინი ერთობ სუსტია და თხელი. ამისთვის ბავშის სწავლების საგანი უნდა იყოს უბრალო, ადვილი გასაგებელი.

მოზდილ კაცს იმდენი აქვს გამოცდილი, იმდენი უნახავს და შეუთვისებია, რომ სულ უცხო საგნებზე რომ ელაპარაკო, მაინც შეუძლია წარმოიდგინოს იგინი, რადგანაც მათ თავის ნახულ საგნებს ადარებს და ჰპოულობს მათში მსგავსებას და განსხვავებას. ყმაწვილს რომ იმაზე ელაპარაკო, რაც არ უნახავს, რითი გიიგოს იგი? რას უნდა შეადაროს რაიმე, როცა მისი ცოდნა ჯერ სრულიად მცირეა. თუ ყმაწვილს ძალა-უნებურად აზეპირებინე ის, რაც არ უნახავს და არ ესმის, მის თავში დარჩება მხოლოდ მკვდარი სიტყვა. ამისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თვალ-საჩინო სწავლება. ბავშს ჯერ თვის გრძნობებით და თავის ჭკუით უნდა შეამოწმებინო და ააწონინო საგანი; შემდეგ შეგიძლია კიდევაც აუხსნა და წიგნიც წააკითხო ამ საგნის შესახებ.

აქედამ გამოვა ოთხნაირი სარგებლობა: ა) ბავში დიდის კმაყოფილებით მოისმენს ბაასს და წაიკითხავს წიგნს იმ საგნის შესახებ, რომელიც მან უწინ გაიცნო; ამითი მიეჩვევა სმენას და კითხვას. ბ) ამ ნაირის სწავლებით წააქეზებ ბავშის ცნობის-მოყვარეობას და ჭკუის მოძრაობას: თავის ნახულსა და გამოცდილს შეადარებს იგი სხვის ნახულსა და გამოცდილთან და თუ ნახა რამე წინააღმდეგობა, დიდის კმაყოფილებით მოიწადინებს კიდეკ საგნის დათვალიერებას და შემოწმებას. გ) მხოლოდ ამნაირად, ამ მეთოდით შეუძლია შეისწავლოს ახალი საგნები და დ), რაც ყველაზე უმთავრესია, ამ მეთოდით ყმაწვილი თავის-თავად მიიღებს აღზრდას, თვითგასვითარდება. მისაც თვით არ განუვითარებია თავისი თავი, იმას ყველა თავისი აზრები წიგნებიდამ აქვს ნასესხები, თავისებური ჭკუის გამჭრიახობა და, ჩვენებურად რომ ეძახიან, ხეირი აკლია: იგი ცხოვრებისთვის გამოუდეგარია.

იგივე ითქმის ზნეობითს აღზრდაზედაც. როგორც ბავშის ჭკუა რთულ საგნებს და მათ დამოკიდებულებას ვერ იტვირთავს, ისე მისი ზნეობითი ძალა ვერ იტვირთავს, მაგ. ამ ნაირ ზნეობის მოთხოვნილებას: «კაცი უნდა შრომობდეს, როგორც თავისთვის, ისე ქვეყნისთვის», «ქველ-მოქმედება თავის-თავად გასიამოვნებს» და სხვ. ამისათვის ბავშს უნდა მოეთხოვებოდეს ჯერ სულ უბრალო,

ში რკინის გზის გამგეობის გამოძიებამ აღმოაჩინა, სხვათა შორის, რომ ამ ბატონს სრულიად სტანციის და აგრეთვე სამეფო ოთახის მებელისათვის (ამ სტანციაში ცალკე სამეფო ოთახია) დაუფხეკია რკინის გზის ნიშნები და ავეჯი, ზოგი გაუყიდია, ზოგიც მიუთვისებია. იქნება იფიქროთ რომ ამ შეცოდებისათვის იგი დაითხოვეს სამსახურიდან, სრულიადაც არა,—ის გადიყვანეს უკეთეს სტანციაზედ.

⊖⊖⊖ ქუთაისში კიდევ გაჩენილა ცეცხლი. ამ თვის 23 ლევაშოვის ქუჩაზე დამწვარი ალხაზოვის ქვრივის სახლი. სახლი დაზღვეული ყოფილა, ალხაზოვის ქვრივი დაუტუსაღებიათ.

⊖⊖⊖ გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში მისაღები ბავშვების გამოცდა დაიწყება ამ წლის აგვისტოს 26-დამ.

⊖⊖⊖ ამ თვის 24-ს ერევნის მეიდანზედ პოლიციის გვერდით, საათის თორმეტზედ, ვაჭარი მიხეილ სარაჯოვი შეხვდა ტიტულიარნი სოვეტნიკს გრიგოლ ამიროვს და დაუწყო ჯოხით ცემა თავში. ამიროვი ყვიროდა მიშველეთო. ყვირილზედ დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა. სარაჯოვი ყვიროდა რაღაც ანდერძის წერილზედ, რომელიც შეადგინა მის განსვენებულს ძმას თავის უშვილო ცოლის სასარგებლოდ. პოლიციამ იქვე შეადგინა ოქმი და გადასცა მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს. („ნოვოე ობოზრენიე“).

⊖⊖⊖ გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ერთს ნემეცს თბილისის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკიდამ წიგნები მოეპარა და უბრალო ქაღალდის ფასად გაეყიდნა. აი გაზეთს „კავკაზში“ რა სწერია ამ საქმის შესახებ: როდესაც ხსენებული ბიბლიოთეკა წესიერებაში მოუყვანიათ, რომ გარეშე ხალხსაც შესძლებოდათ წიგნების სარგებლობა, მოუწვევიათ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ ავსტრიის ქვეშევრდომი ფ. ჩამომავლობით ჩეხი. ამან ისარგებლა, თურმე, საზოგადოების საქმეების-მწარმოებელის ავადმყოფობით და ბევრი წიგნები მოიპარა. ბევრი ძვირფასი და ძნელად საშოვნელი წიგნები დაიკარგა, როგორც მაგ., კავკასიაში მოგზაურობა დიუბუასი, ამ თხზულების შესახები ქარტა, შარდენის მოგზაურობა და სხვ.

გეოგრაფიული საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ის პირნი, რომელთაც შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში საზოგადოების წიგნები, დაუბრუნებენ მათ საზოგადოებას, რისათვისაც უნდა მიმართონ საზოგადოების საქმეების მმართველს, ელისეი ისიდორეს-ძეს კონდრატენკოს. ნახვა შეიძლება დილის ათის საათიდამ 12 საათამდის. წიგნების მომტანთ ფული მაშინვე მიეცემათ.

უცხოეთი

ავსტრიის იმპერიას სამი უმთავრესი ხალხი შეადგენს: ნემეცები, მადიარები, ანუ ვენგრიელები და სლავიანები. პირველი არის ამ სახელმწიფოს პატრონი, მაგრამ მეორე ხალხმაც მრავალი პოლიტიკური უფლება დაიმკვიდრა და ეხლა ნემეცებთან ერთად იხსენება, ასე რომ ავსტრიას ეხლა ყველგან ავსტრო-ვენგრიას ეძახიან. მესამე ხალხი, სლავიანები, დღითი დღე ცდილობენ მადიარებისთანა უფლება შეიძინონ, მაგრამ ეს უკანასკნელნი სხვა-და-სხვა ისტორიული მიზეზების გამო ყველა სლავიანს ისე უცქერიან, როგორც თავის მოსისხლე მტერს.

ერთი რუსი სწერს გაზ. «მოსკოვსკია ვედომოსტ-»ში ვენგრიიდამ:

«განათლებული კაცი ვერ წარმოიდგენს, როგორ სდევნიან აქ ყოველს სლავიანს, თუ იგი თავის ეროვნებას მტკიცედ ადგია. აი ერთი ამის მაგალითთაგანი:

«პაველ ვალაშეკი, ადვოკატი ქალაქის ნიტრიდამ, წავიდა კიევში თავის ამხანაგებით კირილესა და მეთოდის დღესასწაულზედ. საქმე თითქო სრულიად უბრალოა და ღვთის საესავი, მაგრამ ვენგრიელმა მოხელეებმა და მადიარების განათლებულმა საზოგადოებამ ეს მოგზაურობა საშინელ ავკაცობად ჩარიცხეს—სახელმწიფოს ღალატად. შინ-დაბრუნებულს ვალაშეკს საშინელი დევნა და სახლის გაცარცვა მოელოდა.

«თვით დედა-ქალაქის გაზეთებმაც კი წააქეზეს საზოგადოება წინააღმდეგ ამ «პანსლავისტისა». მადიარების ინტელიგენციამ ამ ქალაქისამ ააღელვა უბრალო ხალხი, მაისის 8-ს ღამე თავს დაესხნენ ვალაშეკის და მხოლოდ ბედნიერს შემთხვევას უნდა უმადლოდეს, რომ ვალაშეკი თითონ ცოცხალი გადარჩა. პოლიციელებმა არამც თუ მაშინ არ ამოიღეს ხმა, ვალაშეკის ჩივილსაც ყურადღება არ მიაქციეს და აქამდის დამნაშავენი დაუსჯელნა დაიარებიან.

ინგლისის ახალს კაბინეტს იმისთანა საშუალება უხმარია, რომლითაც შეუძლიან ირლანდიელები, თუ სულ არ გადმოიბიროს, მათი გული მაინც მოიგოს. ყველამ იცის, რომ ირლანდიელების უკმაყოფილება სხვათა-შორის იმისაგან არის გამოწვეული, რომ ფერმერებს დიდი მამულების პატრონების მიწა უჭირავთ და ეს დამოკიდებულება მუდამ შფოთსა და უსიამოვნობასა ჰბადავს. ამ ჟამად ლორდ აშბორნს ახალის მთავრობის მხრივ შეუტანია წინადადება, რომ მთავრობა დაეხმაროს ფერმერებს მათგან დაჭერილი მიწების შესყიდვაში და ამ გზით მოსპოს სათავეშივე უსიამოვნობა მამულის-პატრონებისა და ფერმერების შორის. საადგილ-მამულო კომისიას, რომელიც ამ ჟამად ირლანდიაში მოქმედობს, უნდა გადაეცეს ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი ამ საქმისათვის; ამ ფულით კომისია გაისტუმრებს მამულის პატრონებს და ფერმერებს კი ვალად დაადებს იმ პირობით, რომ 29 წლის განმავლობაში 4%-ის ძლევით გადაიხადონ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 25-ს.

რიგა. გაზ. „Rigaische Zeitung“ იუწყება, რომ პრუსიის რეზერვის აფიცერი ბენო კრუსკოფ უმაღლესი

სულ ელემენტარული ზნეობის მხარეები და თან-და-თან ეს მოთხოვნილება უნდა დიდდებოდეს.

მეთოდი ზნეობითი აღზრდისა უნდა იყოს იგივე—თვალ-საჩინო სწავლების მეთოდი

ფიზიკური აღზრდა წინააღმდეგის გზით უნდა მიდიოდეს. პირველად ველური ხალხი უფრო სხეულს ამოძრავებდა, ვიდრე ჭკუას და თან-და-თან, რაც ველური ძალა აკლდებოდა, ჭკუა ემატებოდა. ბავშის აღზრდაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ფიზიკურ მხარეს, რომელიც თან-და-თან უნდა უთმობდეს ადგილს გონებითს აღზრდას, თუმცა პირველი თავის სიცოცხლეშიაც არ უნდა დაივიწყოს კაცმა. თუკი ველური ხალხი ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და მისს მაშინდელ ძალას ახლანდელ მის შთამომავლობაზედაცა აქვს გავლენა, როგორც მამას შვილზე, ისე ბავშის ფიზიკურ ძალას უნდა ჰქონდეს გავლენა მისს მერმინდელ ძალაზე. ამისათვის თუ ბავშის ფიზიკურ მხარეზე თავიდანვე არ ვიზრუნეთ, ჩვენ შევიქნებით ბუნების წინააღმდეგი და ბავში თანამედროვეებზე უფრო სუსტი შეიქნება. აღზრდას კი ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ აღზრდილი თანამედროვეთა შორის არავისზე უარესი არ იყოს არც ჭკუით, არც ზნეობით, არც ფიზიკურად: მხოლოდ მაშინ გაიტანს იგი ცხოვრების ღელოს.

რაიცა შეეხება ფიზიკური აღზრდის მეთოდს, სპენსერი ამბობს, რომ გიმნასტიკა ბავშის თავისუფალ თამაშს ვერ შეედრებაო: მისთვის, ა) რომ გიმნასტიკა ერთი სხეულის ნაწილს რომ აძლიერებს, მეორეს ასუსტებსო, მაშინ როდესაც თავისუფალი თამაშობა ყველა სხეულის ნაწილებს ერთნაირად ხსნისო, და ბ) რომ თავისუფალი თამაშობა უფრო სიხალისეს მოგვრის ბავშს, უფრო ასიამოვნებსო, და ამ სიხალისეს აქვს დიდი გავლენა როგორც ტანის სიმრთელეზე, ისე ზნეობით და გონებით სიფაქიზეზეო.

ამ გვარ აღზრდაში ბავში თვით დაგვეხმარება, ანუ უკეთ ვთქვათ, დაეხმარება თავის თავს, იმიტომ რომ იგი დააკმაყოფილებს თვით მის ბუნების მოთხოვნილებას რადგანაც ეს იქნება მისთვის სასიამოვნო. მცირედიც არის უსიამოვნება თუ შეატყვე სწავლების დროს ბავშსო, ამბობს სპენსერი, მაშინათვე თავი დაანებე და ან თამაშობის ნება მიეცი, ან უფრო სასიამოვნო შრომაზე გადაიყვანეო.

II

ამ გვარი თეორიის წინააღმდეგ შეიძლება შემდეგი სთქვას ვინმემ.

ვთქვათ რომელიმე ერი ერთ დროს ძალიან მაღლა იდგა, ძალიან განვითარებული იყო და დღეს იგი თავისი სიმაღლიდამ ჩამოვარდნილა, დამდაბლებულა. მაშ ყმაწვილი იმ ერის შთამომავლობისა ერთ რომელიმე ხანში უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე შემდეგ, როცა სრულიად დავაჟკაცდება. ეს შეუძლებელია, როგორც ის არის შეუძლებელი, რომ ჯერ ცეკვა ასწავლო და მერე სიარული.

რომ ეს შესაძლებელია, ამაზე ბევრ მაგალითს მოვიყვანდი ცხოველების ცხოვრებიდან, მაგრამ უადგილობის გამო ერთს დავჯერდები. მაიმუნი პატარაობაში მეტ ჭკუის გამჭრიახობას, სიფაქიზეს და სიცოცხლეს იჩენს, ვიდრე დიდობაში. იქნება ბევრს ეწყინოს, რომ ადამიანს მაიმუნს ვადარებ, მაგრამ აქ საწყენი არა არის-რა, რადგანაც ერთი-და-იგივე ბუნების კანონი მოქმედებს ადამიანზედაც და მაიმუნზედაც. ესეც რომ არ იყოს, აქ საკვირველი რა არის? განა თუ შესაძლო არ არის, რომ ის ჭკუის ძალა და ენერგია, რომელიც ყმაწვილს ყმაწვილობაში ჰქონდა, დიდობაში შემცირებოდეს?

ეჭვი არ არის, რომ როგორც ერის წარსულ გონებით ძალას აქვს გავლენა ეხლანდელ მისს გონებითს ძალაზე, ისე სიყმაწვილის გონებითს ძალას აქვს გავლენა შემდეგის ხანის გონებითს ძალაზე. აღზრდამ უნდა მოამზადოს იმისთანა კაცი, რომელსაც მოითხოვს წარსული, ესე იგი, რა მდგომარეობამდისაც საუკუნეებს მიუყვანიათ ხალხი, იქამდის აღზრდამ უნდა მიიყვანოს ადამიანი და რა კანონით,—ეს ზემოდ არის თქმული. რამდენადაც უკედ არის ეს ბუნების კანონი დაკმაყოფილებული, იმდენად უფრო ასრულებს აღზრდა თავის დანიშნულებას. იმისთანა კაცის გამოყვანა, რომელიც ბუნებას არ შეუმუშავებია, აღზრდას არ შეუძლია; იგი ხელს უწყობს ბუნების კანონს და ატარებს ყმაწვილს იმ გზებზე, რომელნიც ბუნებისაგან არიან დანიშნულნი; შემდეგ ამისა, როცა აღზრდილი მომწიფდება, იმას სხვისი სწავლება, სხვისი ზრუნვა აღარ ეჭირვება: მაშინ აღზრდამ იმას თავი უნდა დაანებოს. ვინც მიხვდება, აღზრდას ბევრი შეუძლია. ბუნება კაცობრიობას იმ მხრივ სცვლის, რითაც უფრო მოწყობილი იქნება იგი გარემოებათათვის. მაშ თუ ბუნებას მივდიეთ, მაშინ უკედ იქნება ჩვენგან აღზრდილი ყმაწვილი მომზადებული ცხოვრებისთვის, ვიდრე მაშინ, როცა მას ვეწინააღმდეგებით.

X.

ეროვნული

მთავრობის განკარგულებით დაუშვრიათ იავობმტადტში და რუსეთიდამ გაუგზავნიათ, რადგანაც ეჭვი შეიტანეს, რომ იგი ჯაშუში იყო.

ვენა. ავსტრიის იმპერატორი თავის მეუღლით დღეს გასტეინში წავიდენ გერმანიის იმპერატორის სანახავად.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ დაადგინა ათი დღის კარანტინი საფრანგეთის ნავთ-სადგურებიდამ ხმელთა-შუა-ზღვით მოტანილი საქონლისათვის.

რომი. იტალიაში საფრანგეთიდამ მ ტანილ ყველა გვარი საქონლისათვის დაადგინეს ცხრა დღის კარანტინი, ხოლო საეჭვოთათვის ოცი დღის კარანტანი.

მარსელი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ერთს დღე და ღამეში ხოლერისაგან 35 კაცი მოკვდა.

ბირჟა

პეტერბურგა ივლისის 23.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— —$23^3/_4$ $23^{15}/_{16}$ $23^{25}/_{22}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— —$202^3/_4$ $203^1/_4$ $202^7/_8$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — —$251^1/_8$ $251^3/_4$ $251^1/_4$
პოლუიმპერიალები — 8 მ. 32 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები — 8 მ. 31 კ. გაყ.
ვერცხლის მანათი — 1 მ. 33 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი— — $5^3/_4$ და $6^3/_4$%
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 99 მ. გაყ.
მეორე გამოცემისა — $97^3/_4$ მ. გაყ.
მესამე გამოცემისა — 97 მ. 62 კ. მყ.
მეოთხე გამოც. — — $97^1/_4$ მ. მყ.
მეხუთე გამოც. — — 97 მ. 37 კ. მყ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — $95^1/_2$ მ. გაყ.
მეორე გამოც. — — $95^3/_4$ მ. მყ.
მესამე გამოც. — — $95^3/_4$ მ. მყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — 218 მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— $212^1/_2$ მ. გაყ.
ოქროს რენტა — — 174 მ. გაყ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — 43 წ. 88 მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 91 მ. გამყ.
43 წ. 89 მ. გამყ.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$
მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$
მეორისა — — —1 გ. 3 კ.
მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის ლავაში 1 გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — — —1 გ. 3 კ

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ.
მეორისა — — —1 გ. 6 კ.
სუკი— — — —1 გ. 14 კ.
ცხვრის ხორცი— —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა - 1 გ.
მეორისა — —1 — გ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.
ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.
ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.
თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული

ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება. (25—3)

Съ разрѣш. Медицинск. Департамента Министерства Внутреннихъ Дѣлъ.

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ ВЪ АПТЕК. МАГАЗ. ШТОКМАНЪ и ЛЕМАНЪ. МОСКВА, ИЛЬИНКА.

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.

Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.

Цѣна кор. въ 20 плит. 1 р. 20 k. ½ кор. 70 k.

Перес. кор. 40 k., 2 кор. 60 k. и т. д.

(Ц. 15375.). (50—11)

ი. ა. პორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (ტფილისში დ. სარაჯოვის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი პურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20—2)

არყის ხის ბალზამი

დოქტორის ლენგილისა

საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სპეტაკს სითეთრეს, სპობს ჭორფლს, ფერიჭამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუჯულს სახეს,ასწორებს მოღმეჭილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კაპსიულებზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. კელერთან და კომპ. კ. ფერსინთან, გეშლინგთან, ბ. ბრუკსთან, ლიუშერთან, ბირშფელგინთან, მატესეისენთან, ს.-პეტერბურგში სააფთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, ტფილისში საათფიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

Ц. 12.233 (12—9)

„РАДУГА“

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ СЕМЕЙНЫЙ ЖУРНАЛЪ.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

съ 1 іюля 1885 года по 1 января 1886 года.

ВО ВТОРОМЪ ПОЛУГОДІИ МЕЖДУ ПРОЧИМЪ

БУДЕТЪ НАПЕЧАТАНЫ:

НАДЯ ХОЛМИНА. Романъ, въ 2-хъ частяхъ съ иллюстраціями С. А. ОРЛОВА.

КОЗЫРНЫЕ ТУЗЫ. Больш. пов. изъ Кавказск. жизни съ иллюстр., Вл. И. Немировича-Данченко.

НАДО РАЗВОДИТЬСЯ. Комедія въ 3-хъ актахъ, Виктора Крылова.

МУЖЪ ЗНАМЕНИТОСТИ. Комедія въ 4-хъ актахъ, Князя Сумбатова.

СИНІИ ЧУЛОКЪ. Комидія въ 3 дѣйств. изъ современныхъ народовъ, Д. А. Мансфельда

3 р. за полгода съ пересыл.

ПРИЛОЖЕНІЯ:

и множество другихъ разсказовъ, стихотвореній и. т. п.

Ноты, Моды, Салонъ, Аккордъ, Сцена, Дачная жизнь

Высылающіе 5 рублей получаютъ журналъ за весь годъ съ № 1-го и безплатную премію.

АДРЕСЪ: Москва, редакція „РАДУГИ“.

(3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.